ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველ კოლეგიას

მოსარჩელე: ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"
მისამართი: ყიფშიძის ქ. №5ა, IV სად., VII სართ.

მოპასუხე: საქართველოს პრემიერ-მინისტრი
მისამართი: ინგოროყვას ქ. №7

მოპასუხე: საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
მისამართი: გულუას ქ. №6

ს ა რ ჩ ე ლ ი

(ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის თაობაზე)

მოგახსენებთ, რომ ასოციაცია "მწვანე ალტერნატივამ" 2007 წლის 24 ივნისის №04/05-49, №04/05-50 და №04/05-51 ადმინისტრაციული საჩივრებით საქართველოს პრემიერ-მინისტრთან გაასაჩივრა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2007 წლის 3 მაისის №470, №471 და №472 ბრძანებები და მოითხოვა მათი ბათილად ცნობა. საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2007 წლის 3 აგვისტოს №90, №91 და №92 ბრძანებებით უარი გვეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. მიგვაჩნია, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებები არის უკანონო და ისინი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ა) საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებებს საფუძვლად დაედო 2007 წლის 4 ივნისის №04/05-49, №04/05-50 და №04/05-51 ადმინისტრაციული საჩივრების განხილვასთან დაკავშირებით ჩატარებული ზეპირი მოსმენის სხდომის ოქმი და საქართველოს მთავრობის კანცელარიის იურიდიული დეპარტამენტის მიერ მომზადებული ინფორმაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

საქართველოს მთავრობის იურიდიული დეპარტამენტის არგუმენტაციით, "*ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"-ს მოგიევები არ განეკუთვნება სადაო აქტების კანონის კონკრეტულ ნორმასთან წინააღმდეგობების იმ კატეგორიათა წრეს, რაც შეიძლება გახდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60[1] მუხლის პირველი პუნქტით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველი, ასევე, არც ისეთ დარღვევათა კატეგორიას, რომლის არსებობის შემთხვევაში მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.*"

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60[1] მუხლის პირველი პუნქტის თანახმად:

"ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს და არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი წესი".

საქართველოს მთავრობის 2005 წლის 19 თებერვლის №27 დადგენილებაში "საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის დამტკიცების შესახებ" აისახა გაეროს "ბიომრავალფეროვნების დაცვის შესახებ" კონვენციის მონაწილე მხარეების მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების აუცილებლობა. კერძოდ, მთავრობის დადგენილების პრეამბულაში ნათქვამია:

"1994 წელს საქართველომ ხელი მოაწერა საერთაშორისო კონვენციას ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ და ამგვარად იკისრა პასუხისმგებლობა – დაიცვას ქვეყნის მდიდარი მცენარეული საფარი და ცხოველთა სამყარო; დაიწყოს ბიოლოგიური რესურსების გონივრული გამოყენება და უზრუნველყოს ბიომრავალფეროვნებისაგან მიღებული სარგებლის სამართლიანი განაწილება".

ციტირებული დოკუმენტი არის ჩარჩო დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ბიომრავალფეროვნების დაცვის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს და იმ მიმართულებებს, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ სახელმწიფო დაწესებულებებმა არსებული კანონმდებლობის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებისას. ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებად, მთავრობის დადგენილების შესაბამისად, მიჩნეულ იქნა ტყის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება. კერძოდ, ქვეყნის ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანია:

"ტყის ბიომრავალფეროვნების დაცვა და შენარჩუნება ტყის რესურების გონივრული მართვის (მდგრადი სატყეო მეურნეობის მეთოდების) დანერგვის გზით".

ამ მიზნის შესასრულებლად კი საჭიროა:

<u>"ხე-ტყის დამზადებაზე მორატორიუმის უზრუნველყოფა გადაბერებულ ტყის კორომებსა და მაღალი კონსერვაციული ღირებულების მქონე ტყეებში და ამ კორომების დაცვის პრიორიტეტულობის პრინციპის გამოყენება".</u>

ანუ მთავრობის დადგენილებით ცალსახად განისაზღვრა, რომ სახელმწიფომ მორატორიუმი უნდა გამოაცხადოს ტყის გადაბერებულ კორომებსა და მაღალი

კონსერვაციის ღირებულების ტყეებზე. თუმცა, ზეპირი განხილვისას სადაო გახდა ტერმინი მაღალი კონსერვაციული ღირებულება.

<u>"მაღალი კონსერვაციული ღირებულება", ანუ იგივე "მაღალი გარემოსდაცვითი ღირებულება"</u> ნიშნავს, რომ გარკვეულ ტერიტორიაზე წარმოდგენილია კონსერვაციული (**ანუ დაცვითი**) სტატუსის მქონე მრავალი სახეობა (მაგ. საქართველოს პრეზიდენტის მიერ ბრძანებულებით დამტკიცებულ "წითელ ნუსხაში" აღრიცხული სახეობები, ენდემები, რელიქტები და ა.შ) დიდ ფართობზე შენარჩუნებულია ხელუხლებელი, ან თითქმის ხელუხლებელი ეკოსისტემები, ბუნებრიობის მაღალი ხარისხით. იმ ფაქტს, რომ სამეგრელოსა და ზემო-სვანეთის კირქვული მასივის, ან ახალციხის რაიონის ტყეებს მართლაც აქვთ მაღალი კონსერვაციული ღირებულება, აღასტურებს ათწლეულების განმავლობაში ჩატარებული კვლევები, უამრავი სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურა და ქვეყნის სამეცნიერო დაწესებულებებში არსებული დოკუმენტაცია, ასევე სახელმწიფოს მიერ წლების განმავლობაში განხორციელებული ტყის მოწყობის მასალებიც (იხ. საქართველოს ტყის კოდექსი მუხლი 27. პუნქტი 2. ქვეპუნქტი დ). ამისათვის არ არის საჭირო რაიმე იურიდიული დოკუმენტის მიღება, ეს არის ფაქტი, რომელიც დასტურდება სპეციალური მეცნიერული კვლევებით. სწორედ ამ ფაქტის დასადასტურებლად იყო ნახსენები ჩვენს სარჩელებში ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის საპროგრამო ოფისის (WWF Caucasus PO) მომზადებული დოკუმენტი[1] (და არა იმის გამო, თითქოს ბრძანების გაუქმებას ვითხოვდით

---

[1] ციტატა ამ დოკუმენტიდან: 2005 წლის ბოლოსა და 2006 წლის დასაწყისში ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WW) კავკასიის წარმომადგენლობის დახმარებით წინასწარ განისაზღვრა სახელმწიფო-სამეურნეო ტყის ფონდის ტერიტორიაზე არსებული 2006-2010 წლისათვის დაგეგმილი და ფუნქციონირებისათვის დასაპროექტებელი დაცული ტერიტორიების ქსელი შემდეგი დოკუმენტაციის, მასალებისა და პროექტების საფუძველზე: 1) კარტოგრაფიული მასალებისა და იმ ინფორმაციის გამოყენება; 2) გარემოს დაცვის სფეროში დაცული ტერიტორიების მართვასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტები და საქართველოს ტერიტორიაზე მიღებული გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მნიშვნელოვანი საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები (კონვენციები); 3) მსოფლიო ბანკის მიერ დაცული ტერიტორიების დაგეგმვის საქმეში საპროექტო დოკუმენტებისა და შესაბამისი კარტოგრაფიული მასალების ანალიზი; 4) წარსულში უსაფუძვლოდ გაუქმებული დაცული ტერიტორიების აღდგენასთან დაკავშირებული მასალები; 5) საქართველოს მოსახლეობისა და საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით წარმოდგენილი დასაპროექტებელი დაცული ტერიტორიების მონაცემები; 6) ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) "ტყეები სიცოცხლისათვის კამპანიის გამო" ფარგლებში წარმოდგენილი დაპროექტებული დაცული ტერიტორიების მასალები; 7) დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარების დოკუმენტაცია; 8) <u>სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის ტერიტორიალური ორგანოების, ტყის კორომთა გეგმები, სქემები და იქ არსებული ადმინისტრაციული ტერიტორიალური ერთეულები</u>

სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტის შეუსრულებისათვის, როგორც წარმოადგინა სამინისტრომ თავის წერილში). მოვიყვანოთ მარტივი მაგალითი: "ტყის კოდექსის" მიხედვით, არ შეიძლება 35 გრადუსზე მეტი დაქანების ფერდობებზე ხე-ტყის დამზადება (მუხლი 68, პუნქტი 7). ეს არ ნიშნავს, რომ რაიმე იურიდიული დოკუმენტით (ბრძანებით ან სხვ) ხდება დადგენა, რომელია 35 გრადუსზე მეტად დაქანებული ფართობები. ამას ჭირდება ასევე სპეციალური კვლევა: ადგილზე მისვლა და დაქანების გაზომვა, რაც მერე შესაძლოა აისახოს ტყეთმოწყობის მასალებში. თუ არ არის ასახული რაიმე მიზეზით (ვთქვათ არ არის ჩატარებული ტყეთმოწყობა, ან ხარვეზებითაა ჩატარებული) ეს არ ნიშნავს, რომ კონკრეტული ფერდობი არაა 35 გრადუსზე მეტის დაქანების და რომ იქ ტყის ჭრა შესაძლებელია.

ყოველივე ზემოთქმულის შესაბამისად, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გადაწყვეტილების მიღებისას უნდა ეხელმძღვანელა საქართველოს ტყის კოდექსის მოთხოვნებითა და მთავრობის დადგენილებით. შესაბამისად, ზუსტად განესაზღვრა კონსერვაციის (**ანუ დაცვის**) ზონები და განეხორციელებინა მათზე მორატორიუმი. კერძოდ, სალიცენზიო პირობებით უნდა განსაზღვრულიყო ის სატყეო კვარტლები და ლიტერები (სატყეო მეურნეობის დაყოფის ერთეულები), სადაც აკრძალული იქნებოდა მერქნის მოპოვება მათი კონსერვაციული (გარემოსდაცვითი) ღირებულების გამო.

სალიცენზიო პირობებში ასეთი დეტალური ჩანაწერის არ არსებობის გამო, დაირღვა საქართველოს "გარემოს დაცვის შესახებ" კანონის 47-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვა და საქართველოს კანონის "საქართველოს "წითელი ნუსხისა" და "წითელი წიგნის" შესახებ მე-10 მუხლის მოთხოვნები.

2. საქართველოს "ტყის კოდექსის" 55-ე მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს ტყითსარგებლობის ლიცენზიაში გასათვალისწინებელ პირობებს. ესენია: ტყითსარგებლობის ადგილი, სახე, ვადები, ასათვისებელი რესურსის სახე და ოდენობა, რესურსის მოპოვების დასაშვები ფორმები და მეთოდები და ა.შ. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ სარგებლობის ლიცენზიის გაცემის შესახებ არც ერთ ბრძანებაში არ არის მითითებული **რესურსის მოპოვების დასაშვები ფორმები და მეთოდები**, თუ როგორ, რა მეთოდით უნდა მოხდეს ტყითსარგებლობის განხორციელება. ბრძანებებში არ

(სატყეო უბნები), ფართობები და სქემატური ნახაზები. აღნიშნული დოკუმენტაციების საფუძველზე სამუშაოები განხორციელდა ევროპის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ტყის რესურსების მართვის, დაგეგმვისა და კონსერვაციული მეტყევეობის სფეროში დასაქმებული სპეციალისტების მიერ.

არის მითითებული (დაკონკრეტებული) ასათვისებელი <u>რესურსის სახე</u>, არის ზოგადი მითითება <u>წიწვიანი</u>, ხოლო წიწვიანი ხეების სახეობების სიმრავლიდან გამომდინარე გაურკვეველს ხდის ტყითსარგებლობის რესურსების რაოდენობას წიწვიანი ხის ყოველი კონკრეტული რაოდენობის მიმართ.

ამდენად, ნათელია, რომ სამინისტროს მიერ ლიცენზიების გაცემისას არ იქნა სრულად გათვალისწინებული საქართველოს "ტყის კოდექსის" 55-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნები. არ მოხდა ზუსტად იმ მონაკვეთების განსაზღვრა, სადაც უნდა მოხდეს ტყითსარგებლობა და სად არა. ამდენად, მიგვაჩნია, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანებები ამ ნაწილშიც ეწინააღმდეგება კანონს და ისინი ბათილად უნდა ეცნო საქართველოს პრემიერ-მინისტრს.

3. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა აბსოლუტურად დაუსაბუთებლად არ მიაკუთვნა "მწვანე ალერნატივა"-ს ადმინისტრაციული საჩივრით წარდგენილი არგუმენტები ზაკ-ს მე-60[1] მუხლით გათვასწინებულ დარღვევათა კატეგორიას. ადმინისტრაციული საჩივრით გასაჩივრებული ინდივიდუალური აქტების მიღებისას დაირღვა საქართველოს ტყის კოდექსის 35-ე და 36-ე მუხლებითა და ორჰუსის კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი მოთხოვნები.

"ტყის კოდექსის" 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად:

"მოსახლეობისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების წარმომადგენლებს უფლება აქვთ მიიღონ სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია სახელმწიფო ტყის ფონდის მდგომარეობის შესახებ; მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის დაგეგმვის ყველა ღონისძიებაში ნებისმიერ ეტაპზე."

ამავე მუხლის მე-3 პუნქტით კი:

"სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანოების მიერ ტყითსარგებლობის შესახებ <u>გადაწყვეტილების მიღებამდე</u>, შესაბამისი რეგიონების მიხედვით, უნდა გამოქვეყნდეს სახელმწიფო ტყის ფონდის მართვასთან დაკავშირებული შემდეგი ინფორმაცია:

ა) ტყეთმოწყობის შესახებ;

ბ) სახელმწიფო ტყის ფონდის კატეგორიებად დაყოფის შესახებ;

გ) სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიებისათვის დაცვის რეჟიმის მიკუთვნების შესახებ;

დ) სახელმწიფო ტყის ფონდის 5 და მეტი წლით სარგებლობისათვის გადაცემის შესახებ."

ხოლო, 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად:

"ამ კოდექსის 35-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანოები უზრუნველყოფენ შესაბამისი <u>გადაწყვეტილების მიღებამდე მოსახლეობისა</u> და საზოგადოებრივი გაერთიანებების წარმომადგენელთა მიერ გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების განხილვას. "

გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებამდე და მიღების პროცესში საზოგადოების აქტიური მონაწილეობის უფლებას აღიარებს ორჰუსის კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებიც:

"დაინტერესებული საზოგადოება აღეკვატურად, დროულად და ეფექტურად უნდა იყოს ინფორმირებული საზოგადოებრივი თუ ინდივიდუალური შეტყობინებების მეშვეობით გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებეის <u>მიღების პროცესის საწყის ეტაპზე</u>."

"ყოველი მხარე უზრუნველყოფს საზოგადოების მონაწილეობას <u>ადრეულ ეტაპზე</u>, როდესაც ვარიანტები ღიაა და საზოგადოებას აქვს მასში ეფექტური მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა."

მინისტრის ბრძანებით გაცემული ლიცენზიის საფუძველზე განსახორციელებელი ქმედება მნიშვნელოვან ზეგავლენას იქონიებს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე. ასეთი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სახელმწიფო უწყებების მიერ საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფის ვალდებულება კი განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით. <u>აუქციონის გამართვის შესახებ</u> გადაწყვეტილების მიღება მოხდა საზოგადოების ყოველგვარი წინასწარი ინფორმირების გარეშე და გაუმჭვირვალედ. საზოგადოების წარმომადგენლებს, მათ შორის ადგილობრივ მოსახლეობას, რომელიც უშუალოდაა დამოკიდებული ტყის რესურსებზე, არ ჰქონდათ საშუალება მიეღოთ სათანადო ინფორმაცია და მოეხდინათ ზეგავლენა გადაწყვეტილების მიღების პროცესზე, ვინაიდან აუქციონის გამართვის შესახებ გადაწყვეტილება მათთვის პოსტ ფაქტუმ (მხოლოდ აუქციონის გამართვის შესახებ სამინისტროს განაცხადის გამოქვეყნების შედეგად) გახდა ცნობილი.

სამინისტროს მიერ გაკეთებული მტკიცებულება, რომ ინფორმირებული იყო საზოგადოება უსაფუძვლოა. ისინი აღნიშნავდნენ, რომ "სამინისტროს ინტერნეტ საიტზე დახლოებით 1 წელია განთავსებულია "საქართველოს სატყეო პოლიტიკა", სადაც აღნიშნულია, რომ სახელმწიფო აპირებს გრძელვადიან ტყით სარგებლობას". ამასთან დაკავშირებით მოგახსენებთ შემდეგს: მოხსენიებული დოკუმენტს აქვს პროექტის სახე, რომელიც 1 წლის განმავლობაში შეიცვალა ოთხჯერ, ოთხივე დოკუმენტი სათაურით, შინაარსითა და ფორმით განსხვავებული იყო. ამ დოკუმენტებში კი წერია სამინისტროს ზოგადი განზრახვა, ასახულია ზოგადი მიმართულებები, რომელიც მთელი ქვეყნის სატყეო პოლიტიკას შეეხება და <u>არა ის კონკრეტული გადაწყვეტილებები, რომლებმაც გავლენა შეიძლება მოახდინონ</u>

კონკრეტულ გარემოზე, რომლებიც მიღებული იყო გაუმჭვირვალედ და რომლებსაც ჩვენ ვასაჩივრებთ.

რაც შეეხება, სამინისტროს მტკიცებას, რომ გაზეთ "24 საათში" აუქციონის გამართვამდე 1 თვით ადრე კანონის შესაბამისად იქნა გამოქვეყნებული აუქციონების ჩატარების შესახებ ინფორმაცია. ეს იყო უკვე აუქციონის გამართვის შესახებ შეტყობინება, ანუ გამოქვეყნდა უკვე მიღებული გადაწყვეტილება. აქედან გამომდინარე, არ მომხდარა საზოგადოების ინფორმირება გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების მქონე ქმედების დაგეგმვის შესახებ, რომელზეც აზრის გამოთქმა იყო შესაძლებელი.

კვლავ აღვნიშნავთ, რომ სადავო აქტებზე გადაწყვეტილების მიღებისას სამინისტროს მხრიდან არანაირი სახით არ მომხდარა საზოგადოების წინასწარი ინფორმირება. ორჰუსის კონვენცია კი ნებისმიერ პირს აძლევს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლებას, შესაბამისად ამ უფლების რეალიზების ვალდებულება სახელმწიფოს მხრიდან შესრულებული მხოლოდ მაშინ იქნება, როცა ის გადაწყვეტილების მიღებამდე შეატყობინებს საზოგადოებას, ხელმისაწვდომი და ეფექტური წყაროების მეშვეობით, რომ სახელმწიფო ამა თუ იმ საკითხს იხილავს. ხელმისაწვდომი წყარო, კი მისაღები გადაწყვეტილების შესაბამისად, უნდა განისაზღვროს, რადგან ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავასება, მაგალითად, სვანეთის მოსახლეობისათვის, ხელმისაწვდომი წყარო ნადვილად ვერ იქნება.

ამდენად, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსები სამინისტროს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას დარღვეულ იქნა საქართველოს "ტყის კოდექსის" 35-ე და 36-ე მუხლები და ორჰუსის კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტები.

4. აუქციონის მოწყობისას არ იქნა ზუსტად დადგენილი მოსაპოვებელი რესურსის საერთო ოდენობა და შესაბამისად, არასწორადაა დაანგარიშებული სარგებლობის ლიცენზიის აუქციონის საწყისი ფასი. კერძოდ:

სარგებლობის ლიცენზიის აუქციონის საწყისი ფასი დგინდება საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2006 წლის 18 სექტემბრის № 1020 ბრძანებით "სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე". სარგებლობის ლიცენზიის აუქციონის საწყისი ფასის დადგენისათვის გამოიყენება სპეციალური ფორმულა:

$$Y = \sum_{t=1}^{n} \frac{(Q / n \times L)}{(1+K)^t}$$

სადაც

Y - სარგებლობის ლიცენზიის აუქციონის საწყისი ფასია;

Q - ლიცენზიით გათვალისწინებული ბუნებრივი რესურსის მთლიანი მოცულობა.

n - ლიცენზიით გათვალისწინებული ბუნებრივი რესურების სარგებლობის ვადა

მოსაჭრელი რესურსის მოცულობა დგინდება ტყეთმოწყობის საფუძველზე. საქართველოს "ტყის კოდექსის" მიხედვით (მუხლი 27. პუნქტი 1.), ტყეთმოწყობა ხორციელდება ყოველ 10 წელიწადში ერთხელ (ათწლიანი ციკლით).

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მონაცემებით, ახალციხეში ბოლო ტყეთმოწყობა ჩატარდა 1997-99 წლებში. ვინაიდან ლიცენზიის გაცემა ხდება 20 წლით, კანონმდებლობის შესაბამისად, მოსაჭრელი რესურსის მთლიანი მოცულობის დასადგენად საჭიროა, ტყეთმოწყობა ჩატარდეს მინიმუმ ორჯერ: 2007 წელს და 2017 წელს. ამდენად, 1997 წელს ჩატარებული ტყეთმოწყობის საფუძველზე ლიცენზიის მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში მოსაჭრელი რესურსის (ანუ ლიცენზიით გათვალისწინებული ბუნებრივი რესურსის მთლიანი მოცულობის) რაოდენობის დადგენა და მის საფუძველზე საწყისი ფასის გაანგარიშება არ ასახავს რეალობას და არ შეესაბამება სინამდვილეს. ამ ეტაპზე შეუძლებელია ითქვას, აუქციონის საწყისი ფასის დადგენისას ზედმეტი იანგარიშეს, თუ ნაკლები.

ამდენად, სამივე ლიცენზიასთან დაკავშირებული ტყეთმოწყობის მასალების საფუძველზე (ყვარელი 1989-1992 წ. ახალციხე 1997-1999 წ. სამეგრელო-ზემო სვანეთი 1984-1985 წ, იხ. დეპარტამენტის წერილი) ლიცენზიის მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში მოსაჭრელი რესურსის (ანუ ლიცენზიით გათვალისწინებული ბუნებრივი რესურსის მთლიანი მოცულობის) რაოდენობის დადგენა და მის საფუძველზე საწყისი ფასის გაანგარიშება შეუძლებელი იყო.

ბ) რაც შეეხება, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მეორე საფუძველს იმასთან დაკავშირებით, რომ გასაჩივრებული აქტები არის აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, არის დაუსაბუთებელი.

ზაკ-ის მე-60[1] მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად:

"დაუშვებელია კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, თუ დაინტერესებულ მხარეს კანონიერი ნდობა აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, <u>როდესაც ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი არსებითად არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირთა კანონიერ ინტერესს</u>."

მოყვანილი დებულების შესაბამისად აღჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა დასაშვებია სამი ფაქტობრივი გარემოების არსებობისას: თუ აქტით ზიანი აღგება სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირთა კანონიერ ინტერესებს. ყოველი კონკრეტული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობამდე სასამართლომ უნდა გაარკვიოს აქვს თუ არა აღგილი ამ სამიდან რომელიმე ინტერესის შელახვას და მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, რომელმა ინტერესმა უნდა გადაწონოს.

საზოგადოების კანონიერ ინტერესს წარმოადგენს საკუთარი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის შესაფერის გარემოში ცხოვრება. შესაბამისად, ნებისმიერი გადაწყვეტილება, (ეს იქნება აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღება თუ სხვა), რომელიც ეხება გარემოს დაცვის საკითხებს არის ამ საზოგადოების კანონიერი ინტერესის საგანი. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში საზოგადოებრივი ინტერესების დარღვევა გამოიხატება რამდენიმე ფაქტორში:

- გაცემული ლიცენზიების შესაბამისად, შეუძლებლია იმის განსაზღვრა 20 წლის შემდეგ ლიცენზიანტის მიერ ტყითსარგებლობის შედეგად რა ცვლილებებს განიცდის გარემო და იქნება თუ არა ეს უსაფრთხო ჯანმრთელი გარემოს შენარჩუნებისათვის;
- ლიცენზიის შესაბამისად, ყველა ის ვალდებულება, რაც სახელმწიფოს აკისრია, ტყის მდგრადი განვითარებისათვის: წინასწარ განახორციელოს ტყის ფონდის დეტალური ინვენტარიზაცია, განსაზღვროს და დაადგინოს ხე-ტყის დამზადების უბნების რიგითობა და ვადები და ა.შ. გადაცემული აქვს ლიცენზიანტს. ლიცენზიანტის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში ცალსახაა, რომ საზოგადოებრივ ინტერესს ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში აღგება ზიანი. შესაბამისად, სახელმწიფოს მხრიდან ტყითსარგებლობის ლიცენზიის გაცემისას ყოველივე ზემოთქმულის გაუთვალისწინებლობა არღვევს საზოგადოებრივ ინტერესს და ამ შემთხვევაში, საზოგადოებრივი ინტერესი არის უპირატესი, კერძო პირის ინტერესთან შედარებით და აქტი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.

რაც შეეხება სხვა პირთა კანონიერი ინტერესების დარღვევას, განსახილველ შემთხვევაში ისიც სახეზეა. კერძოდ, სამცხე-ჯავახეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და ყვარელის მოსახელობას არ მიეცა შესაძლებლობა კანონმდებლობით მათთვის მინიჭებული უფლების ფარგლებში მონაწილეობა მიეღო გადაწყვეტილების მიღების პროცესში და მოეთხოვათ სახელმწიფოსთვის მათი ინტერესების გათვალისწინება გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ანუ მესამე პირებს წაერთვათ მონაწილეობის უფლება.

ყოველივე ზემოთქმული ადასტურებს იმას, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2007 წლის 3 აგვისტოს №90, №91 და №92 ბრძანებები არის უკანონო და დაუსაბუთებელი და სასამართლოს მიერ ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.

ასევე, სასამართლოს მიერ საქართველოს "ტყის კოდექსის" 35-ე მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტებთან, 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტთან, 55-ე მუხლის მე-5 პუნქტთან, "გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში, მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ" კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების მოთხოვნების დარღვევის გამო, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60[1] მუხლის შესაბამისად, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2007 წლის 3 მაისის №470, №471 და №472 ბრძანებები.

ამდენად, ვხელმძღვანელობთ რა, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 და 22-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე, 178-ე და 179-ე მუხლებით, წარმოგიდგენთ წინამდებარე სარჩელს და მოვითხოვთ:

1. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2007 წლის 3 აგვისტოს №90 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
2. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2007 წლის 3 აგვისტოს №91 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
3. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2007 წლის 3 აგვისტოს №92 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
4. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 2007 წლის 3 მაისის №470 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
5. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 2007 წლის 3 მაისის №471 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;

6. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 2007 წლის 3 მაისის №472 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;

დანართები:

დანართი 1: საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2007 წლის 3 აგვისტოს №91 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ასლი;

დანართი 2: საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2007 წლის 3 აგვისტოს №92 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ასლი;

დანართი 3: საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2007 წლის 3 აგვისტოს №93 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ასლი;

დანართი 4: საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 2007 წლის 3 მაისის №470 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ასლი;

დანართი 5: საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 2007 წლის 3 მაისის №471 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ასლი;

დანართი 6: საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 2007 წლის 3 მაისის №472 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ასლი;

დანართი 7: ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"-ს 2007 წლის 4 ივნისის №04-05/49, №04-05/50 და №04-05/51 ადმინისტრაციული საჩივრების ასლები;

დანართი 8: ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"-ს 2007 წლის 6 ივლისის დასკვნითი სიტყვის ასლი, გამოთქმული ადმინისტრაციული საჩივრეის ზეპირ მოსმენასთან დაკავშირებით;

დანართი 9: საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსისადმი 2007 წლის 21 ივნისს წარდგენილი წერილის ასლი;

დანართი 10: ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"-ს 2007 წლის 10 სექტემბრის №04/05-54 წერილი საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საგყეო დეპარტამენტის თავმჯდომარისადმი;

დანართი 11: ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"-ს 2007 წლის 20 აპრილის №05-04/44 განცხადების ასლი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრისადმი;

დანართი 12: საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საგყეო დეპარტამენტის 2007 წლის 7 ივნისის №17/02-8/117-905 წერილის ასლი;

დანართი 13: საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის 2007 წლის 23 აგვისტოს №25/125 წერილის ასლი;

დანართი 14: საქართველოს პრემიერ-მინისტრისადმი ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"-ს 2007 წლის 4 ივნისის №04/05-48 განცხადების ასლი;

დანართი 15: საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსადმი ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"-ს 2007 წლის 10 მაისის №04/05-45 განცხადების ასლი;

დანართი 16: საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსადმი ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"-ს 2007 წლის 5 აპრილის №04/05-39 განცხადების ასლი;

დანართი 17: საქართველოს საგყეო პოლიტიკის დოკუმენტის ასლი, 2007 წლის 10 სექტემბრის მდგომარეობით, ხელმისაწვდომი საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ვებ-გვერდზე;

დანართი 18: საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს განცხადებების ასლები, გამოქვეყნებული გაზეთ "24 საათის" 2007 წლის 2 აპრილის გამოცემაში, ხელმისაწვდომი გაზეთის ვებ-გვერდზე: http://www.24saati.ge;

დანართი 19: რეესტრის ამონაწერი.

მანანა ქოჩლაძე

თავმჯდომარე
ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"